ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2021 წლის იანვარი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.6 პროცენტით გაიზარდა. ფასების 3.5 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 15.7 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები გაიზარდა 15.2 პროცენტით, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 53.6 პროცენტით, ხოლო სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე 9.8 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის იანვარში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**115.7**	**15.67**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**109.8**	**0.73**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**115.2**	**13.39**
11	სასმელები	110.5	3.72
24	ძირითადი ლითონები	128.8	7.32
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	153.6	1.55

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

19.02.2021

ექსპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400) ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge